სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/346

ქ. თბილისი

21 ნოემბერი 2019

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესი (თან ერთვის);
2. სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესის განთავსება ვებგვერდზე;
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/02 დადგენილების – „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ პირველი პუნქტი;
4. დადგენილება ძალაში შედის 2020 წლის პირველი იანვრიდან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**